№ 35
ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 35
ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 თვით და 13 დღით | — | 9 | 60 | 6 | „ — — — — | 6 | „ |
| 1 | „ — — — — | 9 | 50 | 5 | „ — — — | 5 | 50 |
| 10 | „ — — — — | 8 | 75 | 4 | „ — — — | 4 | 75 |
| 19 | „ — — — — | 8 | „ | 3 | „ — — — — | 3 | 50 |
| 8 | „ — — — — | 7 | 25 | 2 | „ — — — — | 2 | 75 |
| 7 | „ — — — — | 6 | 50 | 1 | „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა: ფოთის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლე, სტატსკი-სოვეტნიკი მრევლიშვილი და ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი სტეფანოვი—ოლქის სასამართლოების წევრებად, პირველი ბაქოში, მეორე— ქუთაისშივე.

დათხოვნილ იქმნა: სანოტარიუსო დებულების მე-16 მუხ. ძალით ქ. ტფილისის ნოტარიუსი არტაშეს მამიკონოვი, თავისისავე თხოვნის თანახმად.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც უწყით, სხვა-და-სხვა ქალაქებში წმინდა სამთლით ვაჭრობის საქმის წარმოება ადგილობრივს მღვდელს აქვს მინდობილი. შრომის სასყიდლად საქმის მწარმოებელს მოგების 3°/₀ ეძლევა. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, საქართველოს ექსარხოსის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ვლადიმირის განკარგულებით ქ. გორში წმიდა სანთლით ვაჭრობის წარმოება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის გამგეობას მიენდო. ამ საქმიდგან საქმის მწარმოებელს 3°/₀-ს კვალობაზედ წელიწადში 400 მანეთამდის რჩებოდა. ეს ფული ამის შემდეგ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გადაიდება. რაღა თქმა უნდა, ექსარხოსის ასეთი განკარგულება ყოვლად გონიერია და ამ განკარგულების წყალობით რამდენიმე ობოლი და ღარიბი მოსწავლე მოიბრუნებს სულს. მთელი გორის მაზრის სამღვდელოება ძლიერ მადლიერია ამ განკარგულებისა.

*** ტფილისში, განსაკუთრებით განაპირა ადგილებში, ბევრი ყალბი ხუთშაურიანები გავრცელებულა. ამგვარი ხუთშაურიანები თურმე სპილენძის არის, ვერცხლის წყალში დაფერილი, კარგად თუ არ დაუკვირდა კაცი, ნამდვილ ხუთშაურიანში ვერ გაარჩევს.

*** აქამდე გამოურკვეველი იყო, ვის უნდა განეხილა სარევიზიოდ ობოლთა სასამართლოს საქმეები და ამის გამო ამ სასამართლოს რევიზია არც ერთხელ არა ყოფილა. ეხლა უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ ობოლთა სასამართლოების რევიზია გუბერნიის მმართველობათა მოვალეობას შეადგენს და ამის გამო ტფილისის გუბერნიის მმართველობას უკვე დაუნიშნავს თავისი მოხელეები ამ დაწესებულების სარევიზიოდ.

*** ტფილისში დაარსებულს ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ სომეხთა დასახმარებელს კომიტეტს განუზრახავს ჩუღურეთში უსასყიდლო სასადილო გამართოს. ამ კომიტეტის სადგომი იმყოფება აბას-აბატის მოედანზედ, არეშოვის სახლებში და ვისაც, ოსმალეთიდგან გამოქცეულთაგანს, შემწეობის თხოვნა ჰსურს, იქ უნდა მიჰმართოს.

*** ქალაქის საბჭომ განსაკუთრებულს კამისიას მიანდო „საბჭოს ცნობათა" გამოცემის საქმე. ამ კამისიას უკვე წარუდგენია ქალაქის გამგეობაში თავისი მოხსენება, რომელსაც ამ დღეებში განიხილავს საბჭო. კამისია იმ აზრისაა, რომ ეს გამოცემა ორს კვირაში ერთხელ უნდა გამოდიოდეს და ეწოდებოდეს: „ტფილისის ქალაქის საბჭოს ცნობანი"; მისი რედაქტორი და პასუხის მგებელი ქალაქის მოურავი უნდა იყოს. ყოველს №-ში 5-დგან 6 თაბახამდე იქნება. წელიწადში ეღირება 5 მან. ხარჯი მოუვა ქალაქს ამ „ცნობათა" დაბეჭდვისათვის წელიწადში 3,846 მან.—4,400 მანეთამდე, ეხლა-კი ეხარჯება 2,600 მან. თუ ვივარაუდეთ, რომ ახალს გამოცემას 1.000 მან. შემოსავალი ექმნება (500 მან. ხელის მომწერთაგან და 500 მან. განცხადებისა), იმ აზრს უნდა დავადგეთო, ამბობს კამისია, რომ ქალაქს ამ მხრივ მეტი ხარჯი 250 მან. მოუვა, თუ ხუთ-თაბახიანი ნომერი გამოსცა, ხოლო თუ ექვსთაბახიანი—800 მან.

*** ქალაქში ხმა დადის, რომ დაიკარგაო ერთი ყმაწვილი ქალი, ქალიშვილი მოხელის ლ. ი. გ—ვასი. იგი გამოსულა ამ ორის კვირის წინად სახლიდგან და დღესაც არ დაბრუნებულა. ამ ცოტა ხნის წინად საბრალო ქალს დედ-მამა დაჰხოცვია და მას შემდეგ ფიქრსა და საღონებელს შეუპყრია. ნათესავები ეძებენ, მაგრამ ჯერ ვერსად მიუგნიათო, ამბობს გაზ. „ახ. მიმოხ.".

*** საკვირველია ქართველების გულ-გრილობა ყოველ საქმეში საერთოდ და კერძოდ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობაში, რაც ჩვენთვის უფრო უმეტესს სახეიროა და სასარგებლო. თუმცა არსებობს სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც

## ფელეტონი

—

### ერის განმანათლებელნი და იმათი მდგომარეობა.

(დასასრული *)

ცნობილი მკვლევარი ხალხის ცხოვრებისა ა. მ. ტიურტიუმოვი თავისს საყურადღებო წერილში „Общественное и юридическое положеніе сельскаго учителя" **) ვრცლად და ნამდვილად გვისურათებს სოფლის მასწავლებლის ეკონომიურსა და სოციალურს მდგომარეობას რუსეთში.

აი რასა სწერს პატივცემული ავტორი: „1885 წ. ცნობებიდგან სჩანს, რომ ნოვგოროდის გუბერნიაში ყოფილან ისეთი მასწავლებელნი, რომლებიც იღებდნენ 120 მ. ჯამაგირს წელიწადში; ორთა შუა რიცხვით რაოდენობა ჯამაგირისა ამ გუბერნიაში ეთანასწორებოდა 268 მან., ყაზანის გუბერნიაში მასწავლებლები იღებენ 120—300 მანეთამდე. ზედმიწევნით ასეთსავე ჯამაგირს იღებენ მასწავლებლები ორიოლისა, ხარკოვისა და სხ. გუბერნიაში... აქედგან აშკარად სჩანსო, ამბობს ავტორი, რომ მასწავლებელი იძულებულია დაუკმაყოფილებლად დასტოვოს თავისი სულიერი, აუცილებელნი მოთხოვნილებანი, მაგალ., არ შეუძლიან ჟურნალ-გაზეთისა და რომელიმე მისი ხელობისათვის საჭირო წიგნის გამოწერა. ოჯახობის მოკიდებას ფიქრადაც ვერ გაიტარებს, და ან რა ცოლ-შვილება, როდესაც მარტო თავისი თავიც ვერ უსაზრდოებია? მასთან იგი სულ არ არის უზრუნველ-ყოფილი, თუ ვინიცობაა რაისამე მიზეზით ადგილი დაჰკარგა, ან ავად გახდა, ან დაბერდა. და რადგანაც მასწავლებელს პენსია არ ენიშნება, ბევრჯელ მასწავლებლის ცოლ-შვილი უმწეოდ რჩება და იძულებულია ან მოწყალება ითხოვოს, ან შიმშილით დაიხოცოს".

ამ უკანასკნელს აზრს პატივცემულ ავტორისას ნათლად გვიმტკიცებს შემდეგი ამბავი. 1893 წლის „Русскій народный учитель"-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით „Обращеніе къ товарищамъ". აი ამ წერილის შინაარსი: „12-ს იანვარს 1893 წ. უწყალო სოფლემ გამოგვლიჯა ხელიდგან დაუღალავი მუშაკი—მასწავლებელი აბალდუევის სოფლის სასწავლებლისა ა. ი. ტერეშკინი, რომელმაც ღვთის ანაბარად დასტოვა დიდი ოჯახი (ცოლი, 6 შვილი და და). განსვენებული მასწავლებლობდა 22 წ. როგორც რევიზიამ აღმოაჩინა, იყო საუკეთესო მასწავლებელთაგანი მთელს მაზრაში. ძმანო! ყური ვათხოვოთ გულის ჩამთუთქველს ტირილს განსვენებულის ოჯახისას. იშვიათი ჩვენი ოჯახი არ ჩავარდება ასეთსავე მდგომარეობაში. შესაძლოა ჩვენი ოჯახიც გაიკითხოს, როდესაც ასეთი გასაჭირი დაადგება. თუ სხვას დავეხმარებით, ეს ჩვენივე დახმარება იქნება".

დავუკვირდეთ ამ წერილის აზრს. რას გვისურათებს იგი? ეს ხომ მოწყალების თხოვნაა, გლახაკსავით ხელის გაწოდებაა ლუკმაპურისათვის?! 22 წელიწადი უშრომია ადამიანს პირნათლად, თავისი ძალ-ღონე სხვის განათლებისათვის შეულევია, ვინ იცის, რამდენი ვაი-ვაგლახი და შიმშილ-წყურვილი გამოუვლია ეკლიანს გზაზედ, მაგრამ აგერ უწყალო სიკვდილმა გამოასალმა იგი წუთი-სოფელს... ვიკითხოთ: რა უანდერძა საბრალომ თავის დაობლებულ ოჯახს? გლახაკობა, შიმშილი და წყურვილი... სუსხიანი, მოღრუბლული დღე აწმყოში, სიბნელე და წყვდიადი მომავალში!.. ასეთია ბედიღბალი თითქმის ყველა მასწავლებლისა...

— დავუბრუნდეთ ტიურტიუმოვის წერილს. მასწავლებლის ეკონომიურ მდგომარეობის დასასურათებლად ავტორს მოჰყავს საინტერესო ადგილი ნოვგოროდის მასწავლებელთა კრების (1882 წ.) ოქმიდგან. აი სათაური ამ ოქმისა: „Годовой бюджетъ минимума необходимыхъ росходовъ сельскако учителя Новгородской губ., состовленный учителемъ Боровичскаго уѣзда Строгановымъ". ეს ოქმი ზედმიწევნით გვაცნობს სოფლის მასწავლებლის ქონებრივს მდგომარეობას, იმას, თუ როგორ და რისთვის, ან რამდენს ჰხარჯავს იგი თავისის ჯამაგირის ფულს. ამ ანგარიშის დროს მხედველობაში მიღებულია უოჯახო მასწავლებელი.

„უფრო დაწვრილებით გამოანგარიშებულია ფიზიკური მოთხოვნილებანიო, ამბობს ტიურტიუმოვი: საჭმლისათვის, რომელიც მთელ წლის განმავლობაში შესდგება წვნიანისა, ქაშისა და ჩაისაგან „ორჯელ დღეში" მასწავლებელს თვეში ეხარჯება 14 მ. 8 კ; წელიწადში-კი—168 მ. 96 კ. მოსამსახურეს საჭმლის მომზადებისათვის 2 მ., წელიწადში—24 მ. ტანისამოსი, საცვალი და ფეხსაცმელი ასეა გამოანგარიშებული: მაგალ., ორი „პიდჟაკი" უნდა ატაროს მასწავლებელმა ოთხის წლის განმავლობაში; საზაფხულო და საზამთრო პალტო უნდა იკმაროს სამ წელიწადს; ორი წყვილი ჩექმა—სამს წელიწადში; ყაბალახი ხუთს წელიწადს; ქუდი—სამს. წლიური ხარჯი ტანისამოსისა—38 მ. 15 კ., ფეხსაცმელისა—18 მ. 85 კ., საცვლებისა—12 მ. 46 კ. ამ ხარჯს უნდა მივუმატოთ კიდევ: სარეცხის ფასი—9 მ. 18 კ., თამბაქოსი, წუმწუმასი და სხვა წვრილმანისა—17 მ. 27 კ.; სანთლის ფასი—10 მ. 46 კ., ჯამაგირის მიღებისათვის სახარჯოდ (ქალაქში გამგზავრება)—7 მ. 92 კ.; სახლის მოწყობილება, საინი და სხვა—3 მ. 3 კ., სხვა და-სხვა მოულოდნელ შემთხვევისათვის 20 მ., ფიზიკურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად 330 მ. 19 კ." ხარჯის მეორე ნაწილში აღრიცხულია ის მოთხოვნილება, რომელიც გამოწვეულია „მასწავლებლის ოფიციალურ და საზოგადოებრი მდგომარეობით". მაგალითებრ, მოუნდება ორი გახამებული პერანგი—4 მ.; გახამების ხარჯი—2 მ. (20 ჯერ წელიწადში); ყელსახვევი—1 მ. 50 კ.; მიწერ-მოწერა (ქაღალდი და ფოსტის მარკა)—3 მ. 88 კ.; ქოლგა—3 მ., მოულოდნელი ხარჯი—5 მან., სულ 17 მან. 88 კ." მერე გამოანგარიშებულია ხარჯი სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად: გაზეთის გამოსაწერად 9 მ. წელიწადში; წიგნების სასყიდლად—3 მან., საშობლოში წასასვლელად—15 მან. 1 იანვრისათვის ხარჯი—5 მ., სულ 32 მ. საერთოდ წლიური ხარჯი ფიზიკურ, ოფიციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესდგება 380 მ. 7 კ.".

*) იხ. „ივერია", № 34.

**) „Русская Школа" 1892 г.

თავისის რჩევითა და დარიგებით, რასაკვირველია, ძალიან ბევრი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს მემამულეთ, თუ-კი მიჰმართავენ და დახმარებას სთხოვენ, მაგრამ ესენი ყურსაც არ იბერტყვენ მაშინ, როდესაც საქართველოს გარშემო მდებარე გუბერნიებიდგან დღეში ათი და ოცი წერილი მოსდის სამეურნეო საზოგადოებას და ეკითხებიან მცენარეულობის თესლეულობის, ვენახის, ბოსტნის, ბაღის გაშენების შესახებ. ჩვენმა სოფლის მემამულეთა, ვგონებ, არც-კი იციან, არსებობს თუ არა სამეურნეო საზოგადოება. სამეურნეო საზოგადოების ქაღალდებში ორ-სამს წერილს ძლივს შევხვდებით ქართლისა და კახეთიდგან. ბაქოს, განჯის, ყარსის და სხვა გუბერნიებიდგან-კი ათასობითაა. სწორედ სამწუხაროა ასეთი მოვლენა.

*** ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ აქაურმა პოლიციამ კატორღიდგან გამოქცეული სარდიონ ბიჭიაშვილი შეიპყრაო. როგორც გაზ. „კავკაზი“ მოგვითხრობს, ოდესის ოლქის სასამართლოდგან ამ დღეებში ტფილისში ქაღალდი მოსულა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბიჭიაშვილს იქ ბევრი ბოროტება ჩაუდენია. 20 იანვარს 1890 წ. ბიჭიაშვილს ბესარიონ ქორიძესა და რაფიელ ფიჩხაძესთან ერთად ოდესაში ერთი დედა-კაცი — ეფროსინე ბალბასი — მოუკლავს და იმისი ბოხჩა სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთეულობით და 5,000 მან. ფული გაუტაცნია. სამივე ავაზაკისათვის ოდესის ოლქის სასამართლოს 20 წლის კატორგა გარდაუწყვეტია. ორი მისი ამხანაგი ისევ კატორგაში იმყოფებიან, ხოლო ბიჭიაშვილი იქიდგან გამოქცეულა, მაგრამ პოლიციას მაინც ვერ დაემალა და დღეს მეტეხის ციხეში იმყოფება.

*** ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ-ნ პაშკევიჩს საბჭოში განცხადება შეუტანია, რომ ჩემი კუთვნილი მამულის გაყიდვისა გამო ცენზი დავკარგე და ამიტომ ხმოსნობას თავს ვანებებო.

*** „ნოვ. ობოზ.“-ეს გაუგონია, რომ მოქალაქეთა ახალს უფროსს ბ-ნ იედიგაროვზედ გუბერნატორს საჩივარი მიართვესო. ბ-ნს იედიგაროვს მომჩივნები უკანონო მოქმედებასა სდებენ ბრალად. ამ საჩივრისა გამო საქმის გამოძიება გუბერნატორს განსაკუთრებულ საქმეთა მოხელის მელიქ-ბეგლიაროვისათვის მიუნდვია.

*** ალიგენტი: 25 თებერვალს, როდესაც საქონლის მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, უბილეთო მგზავრი მაგრემ-ხალიმ-ოღლი გადმოხტა მატარებლიდგან და საცოდავად დასახიჩრდა.

*** ჭიათურა: 25 თებერვალს, საღამოს 5 საათსა და 45 წუთზედ, იმ ლიანდაგზედ, რომელზედაც მატარებელი № 314 იდგა, გადავიდა მეორე მუშა მატარებელი, დაეჯახა პირველ მატარებელს და რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა. ამისი მიზეზი ის არის, რომ ისარი არა ყოფილა სწორედ გადაგდებული და, რასაკვირველია, ამ დანაშაულის ბრალიც მეისრეს დაედება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ჩოჩხათი.** (გურია) უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. ჯერ შარშანდელმა წყალდიდობამ მოგვიხელა: ჩვენი სარჩო საბადი ოხნავარმა სუფსამ შავის ზღვის უფსკრულში ჩაჰყარა და ხელცარიელი დაგვტოვა, ჩვენი სიმდიდრე სიმინდი და ღომია, და იმითი უნდა გავსცეთ პასუხი მტერს და მოკეთეს, თუ ის ვერ გავყიდეთ რითი გადავიხადოთ ხარჯი, რომელიც წლითი-წლობამდე თუ არ ჰმატულობს, არა კლებულობს. წელს თუმცა მოსავალი კარგი იყო, მაგრამ კარგი მოსავალი რას გვიშველის, თუ კარგ ფასად არ გაიყიდა; ჯერ-ჯერობით-კი აბაზისა და ხუთი შაურის მეტს არვინ იმეტებს ფუთს სიმინდში.

ამ ჭირს კიდევ გაუძლებდით, მაგრამ უარესი უბედურება დაგვატყდა თავს. ჩვენი უმთავრესი გზა ჩოჩხათიდგან სადგურს სუფსაში მიდის. ამ გზით უნდა ჩავიტანოთ გასასყიდად წლის მოსავალი და თუ ეს გზა მოგვესპო, ჩვენი სიმინდიც, და ღომიც ნალიაში ჩაგვილპება. რა მდგომარეობაშია ეს გზა?! ურემი ვერ დაგვყავს, ცხენით ვერ გავსულვართ, ადამიანს ხომ გმირობად ჩაეთვლება, თუ ფეხით გასვლა გაბედა.

მაზრის უფროსის ბრძანებით ჩვენი მამასახლისი სხვა, ჩვენთვის უსარგებლო, გზას აკეთებს. მოგეხსენებათ, სადგურს სუფსის მახლობლად თ. გურიელების და კერძო კაცთა მამულებში ნავთი აღმოჩნდა და იჯარით აიღო ეს ადგილები „ბელგიელთა ამხანაგობამ“, რომელიც ქარხნების აშენებასაც-კი შეუდგა. აი ამ ქარხნებამდე საჭიროა გზა ორის ვერსის მანძილზედ. ამ გზით თუ ისარგებლებენ, ისევ მაქალ-გაბრიელის საზოგადოება, ჩვენ კი ის გზა არავითარს სარგებლობას არ მოგვიტანს. გაკეთებაც უფრო იმათი ვალია, როგორც ამ გზაზედ უფრო ზედ მოფის საზოგადოებისა.

თუმცა ხალხი თავს ისოცავს მუშაობაში და სწყვეტს საქონელსაც, მაგრამ იმ გზის გაკეთება ზამთარში, და ისიც ამისთანა დარში, როდესაც ცა და ქვეყანა დანგრევას გვიქადის, შეუძლებელია. ხალხი ცივდება და ავად ხდება ინფლუენციითა და ფილტვების ანთებით. ხალხი ამის გამო დიდად სწუხს და სამართლიანის საყვედურით ამბობს: „გზას რატომ არ გვაკეთებინებენ? აგი გზა აფერი მოსახმარი არაა ჩვენდა და თავებს-კი გვახოცებენო“.

იმედია, მაზრის უფროსი, რომელიც გულით მოწადინებულია ზნეავის ხალხის ულღის შემსუბუქებას, ყურადღებას მიაქცევს და იმ გზის კეთებას ასცილებს თავიდგან. ყველა უფრო მადლიერი დარჩება, თუ ჩვენთვის საჭირო გზას გაგვაკეთებინებს და იმ გაჭირვებიდგან დაგვიხსნის, რომელშიაც ვიმყოფებით ამ ჟამად უგზოობისა გამო.

აქეთ თბილი ზამთარია, მხოლოდ გამუდმებულად სწვიმს და თოვს. მზიანი დღე ვეღარ ვიხილეთ თვალით და სულ-შეხუთულნი ვართ გამოწყვდეულნი სახლში, რადგან უგზოობის გამო ვერსად წავსულვართ.

ა. დარჩიაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინ დაბეჭდილი გვქონდა გაზეთ „ლუჩ“-ის აზრი სასამართლოთა წესდებაში ცვლილებათა შემოღების გამო რუსეთში. იგივე გაზეთი სწერს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ეხლანდელი გამოძიების საქმის წესიერად მოწყობაო. სასამართლოში, ამბობს ეს გაზეთი, ბრალდებულს ჰყავს ვექილი; ვექილსაცა და ბრალდებულსაც სრული ნება აქვთ ლაპარაკისა. ბრალდებულს შეუძლიან სრულებით არაფერი სთქვას თავის გასამართლებლად და საქმის წარმოება სავსებით გადასცეს ვექილს. გამომძიებელთანკი სულ სხვა საქმეა. ბრალდებული სრულებით მარტო და უმწეო წარსდგება ხოლმე წინაშე გამომძიებლისა, რომელსაც შეუძლიან გამოძიების ოქმში მხოლოდ ბრალდებულის გამამტყუნებელი საბუთები ჩასწეროს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სასამართლოში მხოლოდ საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდება სრული უდანაშაულობა ბრალდებულისა, გამომძიებლის ოქმი-კი ამტკიცებს, ბრალდებული დამნაშავეაო. გარდა ამისა, გამომძიებლის ოქმში ჩაწერილია ხოლმე ისეთი საბუთები და შეკრებილია მოწმეთა ისეთი ჩვენება, რომელიც სრულებით არ არის საქმისათვის საჭირო.

მაგალითად, ოლგა პალემის საქმეშიო, — სწერს ზემოხსენებული გაზეთი, — გამომძიებლის ოქმი დიდ ტომებს შეადგენს და ამ ტომებში, სენატორის ა. ფ. კონის სიტყვით, ცხრა მეათედი სრულებით საქმეს არ შეეხება.

ამიტომ საჭიროა გამოძიების დროს ბრალდებულს ჰყავდეს ვექილი, რომლის შემწეობა მისთვის უფრო სასარგებლო იქმნება გამოძიების დროს, ვიდრე სასამართლოში საქმის გარჩევის დროსა. ამ გვარს ცვლილებას მოწადინებულნი არიან რუსეთის გამოჩენილი იურისტები: კონი, სპასოვიჩი, ვულფერტი და სხვ. გამოძიების საქმე საფრანგეთშიაც ისეთივეა ამ ჟამად, როგორც რუსეთში. ხოლო იქაც მოწადინებულნი არიან გამოძიების საქმეში ცვლილებათა შემოღებას და შემდეგი წესი უნდათ დაადგინონ: 1) პირველად რომ მიიყვანენ ბრალდებულს გამომძიებელთან, შეეძლოს არავითარი ჩვენება არ მისცეს და ძალა არავინ არ უნდა დაატანოს 2) გამოძიების დაწყებიდგანვე ბრალდებულს დაიცავს ვექილი. 3) ვექილს უფლება უნდა მიეცეს მთელს გამოძიებას თვალ ყური ადევნოს და თუ გამომძიებელმა ამის ნება არ მისცა, უჩივლოს. 4) უკანასკნელ ჩვენების ჩამორთმევის უწინ გამომძიებელმა მთელი საქმე გამოძიებისა ვექილს უნდა შეატყობინოს. 5) ვექილს უფლება უნდა ჰქონდეს სთხოვოს გამომძიებელს ბრალდებულისათვის სასარგებლო გარემოებათა გამოძიება. 6) თუ გამომძიებლის გარდაწყვეტილება ვექილს უსამართლოდ მიაჩნდება, შეუძლიან ეს საქმე გამომძიებელთა საბჭოში გადიტანოს, და

---

ამასთან უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ ხარჯის სიაში არ არის მოხსენებული შობისა და აღდგომის დღესასწაულების ხარჯი.

როგორც მკითხველი დაინახავდა, სოფლის მასწავლებლის ხარჯი ძალიან მოჭრით არის გამოანგარიშებული. ამისდა მიუხედავად, ეს ხარჯი მაინც 380 მ. 7 კ. უდრის, ე. ი. იმ ჯამაგირს, რომელსაც იღებენ ზოგნი ზედისაგან რჩეულნი მასწავლებელნი. დანარჩენთ-კი, როგორც სჩანს ტიურტიმოვის წერილიდგან, 120 მ. ეძლევათ წელიწადში (ზოგიერთებს), მომეტებულთ — 220 მან. შეადარეთ შემოსავალი და გასავალი — სამას ოთხმოცი მანეთი და ორას ოცი!

როგორ და რაღონისძიებით უნდა იცხოვროს მასწავლებელმა, თუკი ხარჯი 160 მ. აღემატება ჯამაგირს? რასაკვირველია, იგი იძულებულ იქნება დიდად ხელმოკლედ იცხოვროს, არ დაიკმაყოფილოს აუცილებელნი მოთხოვნილებანი, შიმშილი და წყურვილი ითმინოს, დაფლეთილ-დაგლეჯილის ტანისამოსით იაროს! ნუთუ მასწავლებელს (რაც უნდა იყოს, მაინც ინტელიგენტს) ზნეობრივი უფლება არა აქვს გლეხებზედ ცოტა მაინც უკეთ მოიწყოს ცხოვრება? ნუთუ ღირსი არ არის, რომ ისეთი ცხოვრება მაინც ჰქონდეს, როგორიც აქვს სოფლის მწერალსა, მამასახლისს და სხვათ? ერის განმანათლებელი, გამბნევი უვიცობის წყვდიადისა, თვითვე ჯოჯოხეთის უკუნეთშია!..

მასწავლებლის ასეთს შემზარავ მდგომარეობის შემდეგ, გვაქვს ნება მოვთხოვოთ ის სარგებლობა, ის ნაყოფი, რომელიც მათ სხვა, უფრო უკეთესს გარემოებაში შეეძლოთ მოეტანათ? ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ ჩვენ ვლაპარაკობთ არა ერთისა, ან ორის, არამედ ათასის, ორი ათასის ერის განმანათლებელის შესახებ, რომლებიც იძულებულნი არიან მერმისში შიმშილით სიკვდილს მოელოდნენ.

და თუ ასეთი უნუგეშოა ერის განმანათლებლების მდგომარეობა, ვიკითხოთ ახლა: რა მოსაზრებით, რა იმედით მიდიან მაინც საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი სოფელში, სოფლის მასწავლებლად (ზოგნი უმაღლესს სასწავლებლებში ნასწავლნიც კისრულობენ ამ მოვალეობას). ნუთუ ასეთი ხელმოკლე ცხოვრება არ აშინებთ? ამის პასუხს იძლევა პეტერბურგის მაზრის სოფლის მასწავლებელი აბრამოვი, რომელმაც უშინსკის სახსოვრად გამართულს საღამოზედ სიტყვა წარმოსთქვა და ნათლად დაახასიათა სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა*). „რა იზიდავს კაცს, საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულს, სოფლის მასწავლებლად შესასვლელად, ან რა იმაგრებს რამდენისამე წლის განმავლობაში ამ ადგილზედ? ნუთუ თვიური ჯამაგირი, რომელიც 10, 15, 20 მანეთს უდრის? და ან ცივი, ნოტიო და კვამლიანი სასწავლებლის სადგომი და იქვე მიკუნჭული პაწია ოთახი? ან ძარღვების სისუსტე-მოდუნება, ხმის დაკარგვა, რომელიც აუცილებელი შედეგია მასწავლებლობისა, და მერმისში შიმშილით სიკვდილი?.. რა იზიდავს სოფლის სასწავლებლისაკენ? ყოველთ უწინარეს შეგნებული მოვალეობა ხალხის წინაშე, მერე ის ფიქრი, რომ ჩემი შრომა კანცელიარული, უსარგებლო შრომა არ არის (მარტო ჯამაგირისთვის), არამედ აუცილებლად საჭიროა ბედნიერებისათვის; ეს შრომა ჰფენს ნათელს უვიცობის წყვდიადსა, და აგრეთვე ისიც, რომ თვით მასწავლებელიც ზნეობრივად უმჯობესდება, როდესაც სასწავლებელში შრომობს“.

*) Сборникъ — „Памяти Конс. Дим. Ушинскаго“.

აი თითონ სოფლის მასწავლებლის ნათქვამი, რომელმაც დიდად იმოქმედა მაშინ იმ საღამოს საზოგადოებაზედ...

ესეთია ქონებრივად სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა რუსეთში.

ახლა ვნახოთ იურიდიულის უფლებანით სარგებლობს ის სამსახურსა და საზოგადოებაში.

უნდა აღვიაროთ, რომ იურიდიული მხარე მასწავლებლის მდგომარეობისა ძლიერ სუსტად არის გამორკვეული კანონმდებლობაში. აქ გადაჭრით და გასაზღვრით არ არის ნაჩვენები არც ერთი უფლება მასწავლებელისა. ამის შედეგი ის გარემოებაა, რომ ხშირად სოფლის მასწავლებლის ბედ-იღბალი, მისი უფლებანი დამოკიდებულია კერძო შემთხვევისა, ან კერძო კაცისაგან.

ჯერაც არ არის დაკანონებული: თანამდებობაა მასწავლებლობა (должность) თუ დაქირავებული მოხელეა იგი (вольный наемъ)? ერთის მხრივ, მასწავლებლის მოვალეობას აქვს თანამდებობის ხასიათი, რადგანაც იმას ჰნიშნავენ ამ თანამდებობაზედ, ამტკიცებენ, პირობებით არ ეკვრიან, რომ მოვალე ხარ ამდენს წელს იმსახუროო, როგორც დაქირავებულ კაცს; მეორეს მხრივ, აღმატების ხარისხი არა ეძლევათ-რა (чинъ) ხშირად სამსახურიდგან უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ ითხოვენ.

„რას წარმოადგენს იურიდიულის მხრივ სოფლის მასწავლებელიო?“ კითხულობს ტიურტიუმოვი და აი რა პასუხს იძლევა: „არც მოხელეს და არც წარმომადგენელს რომელისამე სხვა კლასისას. რამოდენიმე ნაწყვეტი, გამოურკვეველი და განუსაზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული, რომლებიც აქა-იქ გაფანტულა კანონმდებლობასა და სამინისტროს ცირკულიარებში. აი ზოგიერთი მათგანი: 1) მასწავლებელს წკეპლა არ დაეკვრის; 2) თავისუფალია გარდასახადისაგან; 3) შეღავათი აქვს სამხედრო ბეგარის მხრივ; 4) შეუძლიან თავისს შვილი უფასოდ მისცეს იმ გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში, რომლებიც ექვემდებარებიან საერო განათლების სამინისტროს“... როგორც ჰხედავთ, სოფლის მასწავლებლის უფლებანი არც კი აღემატება უბრალო მოქალაქის უფლებათ.

სასწავლებლის საქმეში საბრალო მასწავლებელი ექვემდებარება თითქმის ექვსს სხვა-და-სხვა დაწესებულებას. მისი მბრძანებელია სასწავლებლების ინსპექტორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი, გუბერნიისა და მაზრის საბჭონი, დირექტორი, გუბერნატორი და კიდევ სხვანი. ყველა ამათ უფლება აქვთ დაითხოვოს სამსახურიდგან. *)

დიაღ, უნუგეშოა ბედ-იღბალი სოფლის მასწავლებლისა! მოკლებული ქონებრივს უზრუნველობას და სოციალურად თითქმის უუფლებოდ დაგდებული, იგი იძულებულია გულში ჩაიკლას ყოველი სულიერი წყურვილი დაუკმაყოფილებლად და აღუსრულებლად.

ქ. ყაზანი. — ივ. ვართ—ვა.

*) იხ. „Положеніе о начальныхъ народ. училищахъ“ 26, 24, 43 და სხვა მუხლნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) გამომცემელს უნდა მიეცეს უფლება დასწრობის ხოლმე გაჩხრეკას, საბუთის ქაღალდების შემოწმებას და, გარდა ამისა, შეუძლიან ბრალდებულის დაცვა, კიდრე იგი სამართალში იქნება მიცემული.

ზემოხსენებულ პროექტს თურმე ბევრი მომხრე ჰყავს იმ კამისიაში, რომელსაც საგნადა აქვს რუსეთის სამართლის წესდებათა შეცვლა.

# რუსეთი

—

სახელმწიფო საბჭოს ამ დღეებში განუხილავს ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი სასოფლო სახელოსნოების დაარსების შესახებ. ხსენებულ სახელოსნოებში მსურველმა სასოფლო-მეურნეობაში გამოსადეგი ხელობის ცოდნა უნდა შეიძინოს, მაგალითად სამეურნეო მანქანების და იარაღების მოვლა-ხმარება, იმათი შეკეთება, უბრალო მანქანებისა და იარაღების გაკეთება და სხ. ამ გვარ სახელოსნოებისათვის ფინანსთა მინისტრი, მიწადმოქმედებისა და საერო განათლების მინისტრებთან შეთანხმებით, არჩევს ადგილს სოფლებში, სასოფლო-სამეურნეო მამულებში ანუ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნებთან. გარდა ხელოსნობისა, სახელოსნოში ხატვასა და ხაზვასაც ასწავლიან; სწავლის სასყიდელი არავის გადახდება; 14 წლისაზე ნაკლებს და წერა-კითხვის უცოდინარს სახელოსნოში არ მიიღებენ. სახელოსნოებში სწავლის საქმეს ქარხნების ინსპექტორმა ანუ გუბერნიის მეხანიკმა უნდა ადევნოს თვალ-ყური, ხოლო სახელოსნოს გამგედ განსაკუთრებული კაცი იქნება დანიშნული. ამა 1897 წელს ექვსი სახელოსნო გაიმართება სახელმწიფო ხარჯით. იმათ მოწყობისათვის 81,270 მან. გადადებული, ხოლო ყოველ წლობით 23,400 მან. დაიხარჯება, ე. ი. 3,900 მან. თითოეულს სახელოსნოზედ.

—

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტრო დაჰბეჭდავს ყველა უმაღლესს ბრძანებას, რომელიც-კი 1861 წლ. 19 თებერვლიდგან 1897 წლამდის გამოსულა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას შეეხება. ამ გამოცემაში ყველა ის უმაღლესი ბრძანებაც იქმნება მოთავსებული, რომელიც თავისს დროზედ გამოქვეყნებულ იქმნა.

—

ქალაქ ეკატერინოსლავში სამთო ტეხნიკოსთა სასწავლებელი არსდება. ვინც იქ სწავლას დაამთავრებს სამთო ტეხნიკოსის (горнотехникъ) სახელწოდებას მიიღებს. ხსენებულს სასწავლებელს ისა აქვს აზრად, რომ მოსწავლეთ მხოლოდ პრაქტიკული ცოდნა შესძინოს.

# უცხოეთი

—

**იაპონია.** ერთს რუსულს გაზეთში დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი, თუ რა კანონი არსებობს იაპონიაში ბეჭდვითის სიტყვის შესახებ და როგორ უნდათ შესცვალონ იგი კანონი.

არსებულის კანონის ძალით, „შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს ჟურნალ-გაზეთის გამოცემა შეაჩეროს, სამუდამოდ აღკრძალოს და რედაქტორ-გამომცემელი თავისის სურვილისამებრ დასაჯოს. სამხედრო და სანაოსნო მინისტრებსაც აქვთ მინიჭებული უფლება, ჟურნალ-გაზეთებს იმათ უწყების ქვემდებარე საგნების შესახებ სჯა-ბაასის ნება არ მისცენ. თუ ვინმემ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, სასამართლოს ბრალმდებელს შეუძლიან ჟურნალ-გაზეთების დროებით, საქმის გარჩევამდის, შეჩერება“.

იაპონიაში, რასა თქმა უნდა, აგრეთი კანონის მადლიერი ბევრი არ იყო და იმის შეცვლას და უფრო ლიბერალურ კანონების გამოცემას სცდილობდა. ამ საგნის შესახებ ზედა და ქვედა პალატასაც ხშირად მოსდიოდა ხოლმე ერთმანეთში უსიამოვნება, რადგან ზედა პალატა არსებულის კანონის მომხრე იყო, ხოლო ქვედა პალატა მისის შეცვლისა—მაგრამ აქამდის არა გამოვიდა-რა. ამ ჟამად, როგორც იგივე გაზეთი მოგვითხრობს, თვით სამინისტროს წარუდგენია პარლამენტში კანონ-პროექტი დასტამბულის სიტყვის ახალის წესდების გამოცემის შესახებ. ახალის კანონით „შინაგან საქმეთა მინისტრს დრო-გამოშვებით გამოცემის აკრძალვის უფლება აღარ ექმნება, მაგრამ ის უფლება-კი ენიჭება, რომ, თუ საჭიროდ დაინახავს და მავნებლად სცნობს, ჟურნალ-გაზეთის ცალკე ნომრის გაყიდვა აღკრძალოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ჟურნალი, ანუ გაზეთი სახელმწიფოს საიდუმლოებას და აგრეთვე სამხედრო, სანაოსნო და გარეშე საქმეთა მინისტრების საიდუმლო განკარგულებას გამოამჟღავნებს, სამეფო გვარეულობის წევრთა ღირსების დამამცირებელ წერილს დაჰბეჭდავს, სახელმწიფოს არსებულის წეს-წყობილების დარღვევას იქადაგებს და ერის ზნეობასა და სინიდისის შემლახველს აზრს გაავრცელებს,—შინაგან საქმეთა მინისტრმა იმ გამოცემის რედაქტორი პასუხისგებაში უნდა მისცეს და მოსამართლეს გამოცემის შეჩერების ნება-რთვა სთხოვოს. ხოლო თუ იგი გამოცემა გაზეთია—შეჩერებულ იქმნება არა უმეტეს ერთის კვირისა და თუ ჟურნალია—არა უმეტეს სამი ნომრისა“.

## სასამართლოს მატიანე

ა. მელქაძისა თ. ფუტკარაძისა და თ. ბალანჩივაძის საქმე.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ 24 თებერვალს განიხილა საქმე ქუთაისის გუბ. მცხოვრებლების ა. მელქაძისა, თ. ფუტკარაძისა და თ. ბალანჩივაძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ იარაღით ხელში გაქურდვა „ცესარევიჩის გიორგის“ გემის საქონლის შესანახიდგან. ბრალდებულნი გემზედ ჰმსახურებდნენ თურმე და როდესაც გემი ოდესიდგან ბათუმს მიდიოდა, ამოალაგეს მოგზაურთა ჩემოდანებიდგან და ყუთებიდგან ძვირფასი ნივთები და ამ ნივთების ნაცვლად სწორედ იმ წონისავე უსარგებლო ნივთები ჩაჰყარეს. ეს დანაშაული გემზედვე აღმოაჩინეს, ასე რომ ჯერ ნაქურდალი გატანილიც არ იყო თურმე.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე. ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო, რომ იარაღით ქურდობა მოუხდენიათო, რადგან იმათს ბარგში იპოვნეს ხანჯლები, გასაღებები, თოფი და სხვა იარაღი კლიტეების გასატეხად, და ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტა სამივეს. ბრალდებულებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს სამოსამართლო პალატაში და აცხადებდნენ, რომ ტყუილად დაგვდო ოლქის სამოსამართლომ ის ბრალი, ვითომ შეიარაღებულთ ჩაგვედინოს ქურდობა. ჩვენ ქურდობაც არ ჩაგვიდენია, მხოლოდ განზრახვა გვქონდა ქურდობის ჩადენისა; ეს ბრალი დამთავრებულ ქურდობად არ ჩაითვლება, რადგან ნაქურდალით არ გვისარგებლია, ამასთან არც სხვისის ნივთების აღებისა, არც დანაშაულის აღმოჩენისა და ჩვენ დაპატიმრების დროს იარაღი არა გვქონია ზედ, ჩვენს ბარგთანა გვქონდა შენახულიო.

სამოსამართლო პალატამ არ შეიწყნარა ბრალდებულთა საჩივარი და ისევე დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

—

**იაკობ ლაშქარიოვისა და გერასიმე ბაქრაძეს საქმე.**

25 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო ბალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელ გლეხთა იაკობ ლაშქარიოვისა და გერასიმე ბაქრაძისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ რაკი მეიჯარადრეთაგან ტყის გაკაფვის მუშაობის ფული არ მიეღოთ, ერთს მათგანს, გვარად ლაქსინს, წაავლეს თურმე ტყეში ხელი, სცემეს, მიათრიეს მახლობელს დუქანში, დაემუქრნენ მოკვლას და ამ მუქარით ბარათი ჩამოართვეს იმ ფულისა, რამდენიც ერგებოდათ.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ორსავე ბრალდებულს გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა ექვს-ექვსის წლით, ხოლო ბრალდებულნი ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდნენ და საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანეს აპელაციით.

სამოსამართლო პალატამ ბრალდებულთა დანაშაული თვით-ნებობად და ძალ-დატანებად იცნო და თითოეულს 20 დღით პოლიციაში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

—

**გენერალ-მაიორის დ. ი. მუსხელაშვილის საქმე**

სააპელაციო განყოფილებამ ტფილისის ოლქის სასამართლოსამ 9 სექტემბერს 1896 წლისას განიხილა საქმე გენერალ-მაიორის დ. ი. მუსხელაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ ქ. ახალციხეში შეურაცხება მიეყენებინა გაბრიელ აგლუნოვისათვის, და დამნაშავეს ოთხის დღით გაუპტვახტაში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

ბრალდებული არ დასთანხმდა ამ გარდაწყვეტილებას და საკასსაციო საჩივარით იგი სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. ამ დღეებში ეს საკასსაციო საჩივარი განიხილა სამოსამართლო პალატამ, არ შეიწყნარა იგი და ისევე დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილების განაჩენი. 25 თებერვალს ზემოხსენებულს განყოფილებას ცნობა მოუვიდა სამოსამართლო პალატიდგან, რომ აღასრულეთ თქვენმიერ დადგენილი განაჩენი, რომლითაც გენერალ-მაიორს დ. ი. მუსხელაშვილს 4 დღით დაპატიმრება აქვს გარდაწყვეტილი გაუპტვახტაშიო.

## დამაკვირდი

ბევრის სწავლება ჭკუას-კი არა ჰბანდავს, არამედ სჩეჩავს და სწეწავს.

ლეიბნიცი

***

უფრო ბევრი ადამიანი უბედურად ჰგრძნობს თავისს თავს მაშინ, როცა საჭიროდ უხდება მოსაზრება რისამე.

ვოლტერი

***

ცუდი საქმეა, როცა ბავშვს აჩვევენ ყველაფერს ისე უყუროს, როგორც სათამაშოს... ყველაზე საჭიროა ასწავლონ ბავშვს გარჯა-მუშაობა: ადამიანი ერთად-ერთი სულიერია, რომლისათვის გარჯა-მუშაობა მოვალეობაა.

კანტი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ერთი ძალიან სასიამოვნო სასმელია, რომელსაც რუსულად ეძახიან **Питейный медъ.** ამისთანა სასმელის მომზადება და გაკეთება ძნელი არ არის და ყოველ ოჯახისათვის შესაძლებელია ძალიან ადვილად. ამისათვის აი რა არის საჭირო: ერთი ფუთი თაფლი რომ აიღოთ, დაასხით ზედ ოც-დაოთხი თუნგი ახლად ამოღებული წყაროს წმინდა წყალი, აურიეთ და ქვაბით შემოდგით ნელს ცეცხლზე, რომ თაფლი არ დაიწვას. ამ სახით ჰხარშეთ, ვიდრე ქაფს არ მოიგდებს და როცა ქაფს მოიგდებს, უნდა ქაფი კარგად მოჰხადოთ. თუ სასმელი არ გნებავთ დიდხანს შესანახად და მალე გნებავთ იხმაროთ, საჭირო არ არის ძალიან ხარშვა და თუ დიდის ხნისათვის გინდათ რომ გასძლოს, მაშინ-კი იმოდენად უნდა ჰხარშოთ, რომ წებოსავით თითებს ეკიდებოდეს. ეგრე მოხარშული თაფლი უნდა გააციოთ იმოდენად, რომ ახალ მოწველილ რძის სითბო ჰქონდეს, და მერე კარგად გარეცხილ წმინდა ბოჭკაში გადიღეთ, მიუმატეთ ხაში (დროჟჟი). ბოჭკა უსათუოდ სავსე უნდა იყოს. სავსე ბოჭკა დაუცევით ისე-კი, რომ პატარა სასულე ჰქონდეს და ამ სასულეს დააფარეთ ლეჩაქის ნაჭერი, ან კისაია რამ. თაფლი ბოჭკაში დუღილს დაიწყებს და როცა დუღილი დადგება, მაშინ კარგად და მაგრად უნდა ბოჭკას დაცმა, რომ ჰაერი არსაიდამ ჩაუვიდეს. როცა თაფლი ღვინის სუნს ამოუშვებს, სჩანს ისევ ჰდუღს და რომ დუღილი დაუყენოთ, ბოჭკა სარდაფში უნდა დასდგათ. რომ ამისთანა სასმელს უფრო სასიამოვნო გემო ჰქონდეს, უნდა მიხაკი, დარიჩინი და სხვა ამისთანა დაუმატოთ. ამისათვის მიხაკი, დარიჩინი ტილოს პარკში უნდა ჩაჰყაროთ და ისე ჩაუშვათ ბოჭკაში. აი ეს მიხაკ-დარიჩინი და სხვა ამისთანა როგორ უნდა იყოს შეზავებული: 12 მისხალი დარიჩინი, $4^1/_2$ მიხაკი და თითო მისხალი ილი და კოჭა. რამდენსამე ხანს შემდეგ ესე მომზადებული სასმელი ბოთლებში გადიღეთ და გრილს ადგილას შეინახეთ.

შეიძლება ამისთანა სასმელი მეორე გვარადაც მომზადდეს. ამისათვის ასე უნდა მოიქცეთ: ერთი წილი თაფლი წონით ექვსს წილს წყალში გახსენით და ნელ ცეცხლზე ადუღეთ. მერე ერთი ორი პეშვი კარგი სვია (**хмѣлъ**) შეჰკერეთ ტილოს პარკში, შიგ ქვა ჩაატანეთ, რომ პარკი დასძიროს და შიგ ჩაჰკიდეთ ქვაბში და ხელახლად ჰხარშეთ. ქაფი ყოველთვის უნდა მოხდილ იქმნას. როცა თაფლი დუღილისაგან მოსქელდება, ქვაბი უნდა გადმოიღოთ და მოხარშული თაფლი ნელთბილამდე გააციოთ, მერე ბოჭკაში ჩაასხათ და მიხაკი, დარიჩინი, ილი და კოჭა ტილოს პარკით ბოჭკაში ჩასდოთ და სარდაფში შეიტანოთ ბოჭკა. მინამ თაფლს ჯერ კიდევ ახალ მოწველილ რძის სითბო აქვს, უნდა ხაში (დროჟჟი) მისცეთ და დააცალოთ ღვინოსავით იდუღოს. სამი-ოთხი კვირა იდუღებს. დუღილს რომ მორჩება, ბოთლებში გადიღეთ და კარგად დაუცეთ ბოთლებსა. რაც დიდხანს იქნება ბოთლში ამისთანა სასმელი, მით უფრო კეთდება. (ს. ხ. № 42)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ ამტკიცებს, მართალი არის, რომ ჩემბერლენმა პრეზიდენტ კრიუგერს გაუგზავნა სასტიკი მიწერილობა წინააღმდეგ უცხოელთა შესახების კანონისა, რადგანაც ეს კანონი 1884 წლის ხელშეკრულობას არღვევსო.

**სოფია.** სერბიის მეფის მობრძანების შესახებ რუსეთის გაზეთებში დაწერილმა ამბებმა აქ კარგად იმოქმედა. რუსეთის მიერ ამგვარი თანაგრძნობა დიდად მოსწონთ და იმედი აქვთ, მომავალშიაც ამ თანაგრძნობაში იპოვონ ძალ-ღონე და სიმხნევე თავის საჭირ-ბოროტო საქმეებში.

სერბიის მეფის მისვლისა გამო სოფიაში ყველა გაზეთები, მიმართულების განურჩევლად, მადლობას სწირავენ მთავარს მეფის თავაზიანად დახვედრისათვის და ამბობენ, სასურველია, რომ სერბიისა და ბოლგარიის კავშირი განძლიერდესო.

მთავარმა ფერდინანდმა მეფის მობძანებისა გამო დეპეშა გაუგზავნა სულთანს. სულთანმა საგანგებო ელჩი გაჰგზავნა, რომელსაც დაავალა მიულოცოს მეფეს მშვიდობიანად მობძანება. ელჩი სოფიაში 23 თებერვალს მივიდა.

**კანეია.** ოსმალეთის ცნობებით, კაიდანოსა და სელინოდგან მაჰმადიანები წავიდნენ პალეოხოროში, სადაც სრულებით უშიშრად მივლენ სალამოს. ორი სავაჭრო გემი წავიდა იმათის ბარგის წასაღებად.

26 თებერვალი.

**ლონდონი.** „ტიმეს“-ში დაბეჭდილია ვრცელი პასუხი საბერძნეთისა. პასუხის შინაარსი შემდეგია. საბერძნეთის მთავრობა თანაუგრძნობს დიდ სახელმწიფოთა მეცადინეობას მთელის ქვეყნის მშვიდობიანობის დასაცველად და ჰსურს დაიფაროს კრიტის მცხოვრებნი განადგურებისაგან. საბერძნეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ დიდ სახელმწიფოთა მიერ შედგენილი პროექტი კრიტის თვით-მმართველობისა არ შეეფერება იმ დიდ სულოვან განზრახვას, რომელმაც ეს პროექტი გამოიწვია. ამ პროექტს ისეთივე ბედი მოელის, როგორიც ამ კუნძულის მართვა გამგეობის სხვა პროექტებს ჰქონდა. საბერძნეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ, თუ ეს ახალი პროექტი სამუდამოდ წესიერებას არ დაამყარებს, არეულობა და ფანატიკოსობა შემდეგშიაც აოხრებას უქადის კუნძულს. ამიტომ საბერძნეთის მთავრობა დაბეჯითებით სთხოვს დიდ სახელმწიფოთა, ნუ ჩააცივდებით თვით მმართველობის პროექტს და კრიტი საბერძნეთს გადაეცითო. იმის გამო, რომ სახელმწიფოთა სამხედრო გემები ამჟამად კრიტის ახ-

ლის არიან, საბერძნეთის გემების აქ ყოფნა სრულებით უსარგებლოდ მიგვაჩნია. ხოლო კუნძულზედ ჯარის დალოვება საჭიროა წესიერების დასაცველად. საბერძნეთს თავის სალმრთო მოვალეობად მიაჩნია კრიტის მცხოვრებნი არ გასწიროს ბ ხელში არ ჩაუგდოს მაჰმადიანებს. თუ ვინიცობაა, დიდნი სახელმწიფონი დაავალებენ საბერძნეთის ჯარს კუნძულზედ წესიერების დამყარებას, ეს დავალება მალე იქნება შესრულებული. და სასრულ საბერძნეთი სთხოვს დიდ სახელმწიფოთ, თვით კრიტის ხალხს მიანდვეთ გაალცხადონ, როგორი მმართველობა უნდათო.

**ლონდონი.** აქაურ სადიპლომატო წრეებში საბერძნეთის პასუხი კმასაყოფილად არ მიაჩნიათ და ამბობენ, ეს პასუხი ვერ განაკარგებს ეხლანდელს განწყობილებას საბერძნეთსა და დიდ სახელმწიფოთა შორის. ის გარემოება, რომ საბერძნეთი ვითომ და თანხმაა თავისი გემები წაიყვანოს, ცოტათი შეასუსტებს ძალდატანების ღონისძიებათ, რომლისთვისაც უნდა მიემართნათ დიდ სახელმწიფოთ, მაგრამ ის კი შეუძლებელია, რომ საბერძნეთის ჯარი კრიტზედ დარჩეს. ამ საქმეზედ მოლაპარაკების შემდეგ საბერძნეთს გამოუცხადებენ, რომ დიდნი სახელმწიფონი დაუყოვნებლივ მიჰმართავენ საჭირო ღონისძიებას თავის გარდაწყვეტილების ასასრულებლად.

**ლონდონი.** დილის გაზეთების უმრავლესობა არჩევს საბერძნეთის პასუხს: „ტიმეს“-ი ამბობს: «დიდნი სახელმწიფონი არ მოიწონებენ მზაკვარისა და სულ სწრაფის სახელმწიფოს მოქმედებას. კრიტის კუნძულის საქმის იმ გვარად გადაწყვეტა, როგორც იქაურ მკვიდრთ უნდათ, საქმეთა მსვლელობას არ შეჰფერის. ამასთანავე ეს არ შეესაბამება ოსმალეთის ხელუხლებლად დატოვების სურვილს, რომელიც სამმა იმპერატორმა განაცხადა. საბერძნეთი თავის მოხერხებულის და დაფარულის უარით ვერავის მოატყუებს და ვერავის შეაჩერებს იმ ღონისძიებათ რომლის ხმარება გადაწყვეტილია. რადგანაც უმრავლესობას სასტიკ ღონისძიებათა მიღება არა ჰსურდა, ამიტომ არც ეხლა მიჰმართავენ დაუყონებლივ ამ გვარ ღონისძიებას. უპირველეს ყოვლისა კრიტს, უეჭველია, ალყას შემოარტყავენ“.

**პარიზი.** გაზეთები ამბობენ, საბერძნეთის პასუხი სავსეა წინდახედულის ზომიერებით. ეს პასუხი გამოიწვევს მოლაპარაკებას, მსჯელობას და რისამე დათმობას.

ჰფიქრობენ, რომ პალატაში აღმოსავლეთის საქმის განხილვა პარასკევზედ ადრე არ მოხდება და იმედი აქვთ, რომ კამათობა კაბინეტისთვის საკეთილოდ გათავდებაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო,

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ აზნაურს კონსტანტინე ასალოს ძეს ჭყონიას, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ჩიბათის სამრევლო სკოლას დაუკვეთა ამა 1897 წლის გაზეთი „მეურნე“.

ჩიბათის სამრევლო სკოლის მასწავლებელი დიაკვანი მარკოზ ჯორბენაძე.

## სია ქართველ მამულის პატრონთა, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ქალაქის ამომრჩეველთა ნუსხაში არიან მოქცეულნი.

შემდეგი *)

ნაცვლიშვილი ანასტასია.
ნაცვლიშვილი ემილია იაკობის ასული.
ნაცვლიშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე.
ნიჟარაძე სოფიო ივანეს ასული.
ნიჟარაძე პელაგია ილარიონის ასული.
ნიკოლაშვილი პავლე ბეჟანის ძე.
ნონიაშვილი ანდრია.
ოქრომჭედლიშვილი დავით სოლომონის ძე.
ოქროპირიძე ელენე ქიტესას ასული.
ოქროპირიძე მიხეილ სოლომონის ძე.
ოქროპირიძე მიხეილ სიმონის ძე.
ორბელიანი თავ. ალექსანდრე ქსტატეს ძე.
ორბელიანი თავ. ივანე მაკარის ძე.
ფავლენიშვილი კნეინა ელისაბედი.
ფავლენიშვილი თავ. ალექსანდრე ქაიხოსროს ძე.
პაიჭაძე ივანე სიმონის ძე.
ფანიაშვილი ზურაბი.
პაპიტაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე.
პარასტაშვილი ანდრია ივანეს ძე.
ფერიძე ივანე.
ფერნაძე ეკატერინე გრიგოლის ასული.
ფიცხელაური ელისაბედ პეტრეს ასული.
ფორაქაშვილი ნატალია იოსების ასული.
ფორაქაშვილი ივანე ადამის ძე.
ფორაქაშვილი დავით ილარიონის ძე.
რუსიშვილი თეოფანე მიხეილის ძე.
რჩეულიშვილი გრიგოლი.
სავანელი სოფიო ივანეს ასული.
საგინაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე.
საგინაშვილი ივანე ბესარიონის ძე.
საგინაშვილი ივანე დავითის ძე.
საგინაშვილი როსტომ ივანეს ძე.
საყვარელიძე ალექსანდრე სოლომონის ძე.
სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე.
სახურია კონსტანტინე გრიგოლის ძე.
სვიმონიშვილი ნინო ივანეს ასული.
სერებრიაკოვი ლევანი, მზრუნველად არის თებრონია ნაზარის ასული ჭრელაშვილისა.
სიტლაძე ალექსი გლახას ძე.
სოსიაშვილი ქალია გურგენის ასული.
სტაროსელსკისა ეკატერინე თადეოზის ასული.
სულაძე ნიკოლოზ გიორგის ძე.
სულხანიშვილი ბარბარე მიხეილის ასული.
სულხანიშვილი ალექსანდრე გაბრიელის ძე.
სულხანიშვილი ლუარსაბ გაბრიელის ძე.
სუმბათაშვილი თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე.
სუმბათაშვილი თავ. გრიგოლ ლუარსაბის ძე.
სუმბათაშვილი თავ. დავით ალექსანდრეს ძე.
სუმბათაშვილი თავ. მიხეილ სოლომონის ძე.
სხირტლაძე გიორგი.
სხირტლაძე მიხეილ მათეს ძე.
ტაბათაძე თევდორე პავლეს ძე.
თავდგირიძე პლატონ ბესარიონის ძე.
თაქაიშვილი ნიკოლოზი.
თარხან-მოურავი ივანე მორუსის ძე.
თათუბაძე პელაგია სტეფანეს ასული.
თეთრაძე დავით გიორგის ძე.
თეთრაძე კონსტანტინე.
თეთრაძე ნიკოლოზ აბრამის ძე.
თოფურია ივანე ნიკოლოზის ძე.
თორომელიძე გიორგი ნიკოლოზის ძე.
თულაშვილი ივანე გაბრიელის ძე.
ტურაშვილი ეკატერინე გიორგის ასული.
ტურაშვილი ივანე.
თურქესტანიშვილი ეკატერინე გლახას ასული.
ტურიშვილი თავ. გიორგი დავითის ძე.
თუხარელი ელენე სოლომონის ასული.
თუშიშვილი აბრამ ანდრიას ძე.
თუშიშვილი ანდრია აბრამის ძე.
თუშმალიშვილი სტეფანე მიხეილის ძე.
უთმელაძე ელისაბედ სიმონის ასული.
ხანდამიშვილი ვასილ პეტრეს ძე.
ხახაშვილი ისააკ ქიტესას ძე.
ხვედელიანი სოფრონ გიორგის ძე.
ხელაძე გიორგი ლაზარეს ძე.
ხელაძე ეკატერინე დავითის ასული.
ხმალაძე მიხეილ სიმონის ძე.
ხრამელაშვილი გიორგი ივანეს ძე.
ხუნდაძე მიხეილ ეგნატეს ძე.
ხუნდაძე თევდორე სიმონის ძე.
ხურხული პეტრე დავითის ძე.
ხუცაიძე ქრისტესია დიმიტრის ძე.
ხუციშვილი გიორგი.
წერეთელი ეკატერინე აბრამის ასული.
ცავცავაძე ესარია იოსების ასული.
ციკუბაძე დიმიტრი სოლომონის ძე.
წილოსანი ნიკოლოზ იოსების ძე.
ციციშვილი კნეინა ანასტასია იოსების ასული.
ციციშვილი კნ. ელენე ადამის ასული.
ციციშვილი თავ. ნიკოლოზ სარდიონის ძე.
ცოცხლაძე გრიგოლი.
წულუკიძე სოლომონი.
ჭავჭავაძე თავ. არჩილ დავითის ძე.
ჩაფიძე სპირიდონ პავლეს ძე.
ჭელიძე ალექსანდრე სერგის ძე.
ჩივაძე გრიგოლ გაბრიელის ძე.
ჩივაძე ალექსანდრე.
ჩივაძე მარიამი.
ჩიქოვანი ანტონ სიმონის ძე.
ჭილაშვილი ეკატერინე ივანეს ასული.
ჭიჭინაძე გიგო.
ჭყონია მარიამ იაკობის ასული.
ჭუტლაძე ანდრია რევაზის ძე.
შენგელია მარიამ ივანეს ასული.
შოთაშვილი მათე.
შუაქრიშვილი თევდორე.
ელბაქიძე ვასილ გრიგოლის ძე.
ელბაქიძე ელისაბედ გრიგოლის ასული.
ელბაქიძე სოლომონ დავითის ძე.
ელიოზიშვილი ელისაბედ იაკობის ასული.
ელიოზიშვილი გრიგოლ სიმონის ძე.
ელიოზიშვილი იასე (იგივე ია) ივანეს ძე.
ერისთავი კნ. ეკატერინე მიხეილის ასული.
ერისთავი თავ. ალექსანდრე იაკობის ძე.
თომა-ცაგარელი ელენე ალექსანდრეს ასული.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 31, 33.

# განცხადებანი

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ვენახის პატრონთა „კახეთი“-ს საზოგადოებისა ამა 1897 წლის 1-ლ იანვრისათვის.

(საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 2 იანვარს 1896 წლისას. 1897 წლის 1 იანვარს საზოგადოებასა ჰყავდა 66 წევრი).

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კასსა (ნაღდ ფულად) . . . . . . | 6,465 | 72 | | |
| 2 | ღვინო (ტფილისის საწყობში 1897 წლის 1-ლ იანვრამდე შემოვიდა 11928,5 ვედრა ღვინო 24,682 მან. 72 კაპ., დეკემბრის თვის განმავლობაში გაიყიდა 1924,5 ვედრა 9393 მან. 10 კაპ.; დარჩა 1897 წლის 1 იანვრისათვის 10,004 ვედრა (ბაზრის ფასით 48,320 მან.)*. . . . . . | 15,289 | 62 | | |
| 3 | ღვინის მოტანის ხარჯი (კახეთიდგან ტფილისს) . . . . . . . . . | 2,775 | 97 | | |
| 4 | ჭურჭელი: ა, ბოჩკები . 3916 მ. 81 კ. ბ, ბოთლები . 362 მ. 77 კ. | 4,279 | 58 | | |
| 5 | მოწყობა და მომართვა . . . . . | 1,433 | 02 | | |
| 6 | ფას-დადებით და კრედიტით გაგზავნილი ღვინო . . . . . . . . . | 6,078 | — | | |
| 7 | გარდახდილი სარგებელი . . . . . | 3,041 | 23 | | |
| 8 | ფულის მისაღები თამასუქები . . . | 9,889 | 37 | | |
| 9 | უკან დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | 3,271 | 80 | | |
| 10 | მიმდინარე ანგარიში ბანკში . . . . | 100 | — | | |
| 11 | საწევრო ფული საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში. . . . . . . . | 2,361 | 40 | | |
| 12 | მიმდინარე და სავაჭრო ხარჯი . . . | 14,774 | 57 | | |
| | | | | 69,760 | 28 |

*) საზოგადოების წესდების მე-18 §-ის სხოლიოს ძალით კახეთში საზოგადოების წევრთა მარნებში ინახება ღვინო მაგალითად 15,000 ვედრა 50,000 მან.

**პ ა ს ს ი ვ ი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საზოგადოების ვალი, რომელიც წევრთ უნდა მიეცეთ ღვინოში . . . . | 8,934 | 49 | | |
| 2 | საქონლის შესახვევ-გასაგზავნი მასალა . | 495 | 03 | | |
| 3 | გარდასახდელი თამასუქები. . . . . | 42,793 | 40 | | |
| 4 | საწარმოებელი ანუ სამუშაო თანხა, მე-24 §-ის პუნქტ ა, ბ, და გ მოხსენებული . . . . . . . . . . | 11,051 | 55 | | |
| | პუნქტს დ-ში მოხსენებული. | 6,485 | 81 | | |
| | | | | 69,760 | 28 |

მმართველობის თავმჯდომარე თავ. დაკ. ავალიშვილი.

მმართველობის გამგე-წევრი თავ. ს. კახვასიშვილი.

მმართველობის წევრი-ბუხგალტერი თავ. ივ. ბარათაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.